

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება N

2018 წლის ...

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1.

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებულ „ქსელის წესებში“ (სსმ, ვებგვერდი, 22/04/2014, სარეგისტრაციო კოდი: 300280020.16.009.016085) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-11¹ მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის მუშაობაში მონაწილეობის პირობებს, განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიერ მისაერთებელი ობიექტის მინაერთ(ებ)ისათვის რელეური დაცვის მოწყობის, ასევე რელეური დაცვის დანაყენების ანგარიშის პირობებს.“

2. მე-14 და მე-15 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. სიხშირის ზღვრები

გადამცემ ქსელთან მიერთებულ გენერაციის და მოხმარების მოწყობილობებს უნდა შეეძლოთ ოპერირება სიხშირის შემდეგ ზღვრებში:

- ა) 52.5 -53.0 ჰერცი - არაუმეტეს 10 წამი;
- ბ) 51.5 -52.5 ჰერცი - არაუმეტეს 30 წამი;
- გ) 51.0 - 51.5 ჰერცი - არაუმეტეს 30 წუთი;
- დ) 49.0 - 51.0 ჰერცი - შეუზღუდავად;

- ე) 48.5 - 49.0 ჰერცი - არაუმეტეს 60 წუთი;
- ვ) 47.5 - 48.5 ჰერცი - არაუმეტეს 30 წუთი;
- ზ) 47.0 - 47.5 ჰერცი - არაუმეტეს 20 წამი.

მუხლი 15. ძაბვის ზღვრები

1. გადამცემ ქსელთან მიერთებულ გენერაციის მოწყობილობებსა და მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ძაბვის შემდეგ ზღვრებში შეუფერხებლად მუშაობა:

ა) გენერაციის მოწყობილობები

ნომინალური ძაბვა (კვ)	110	220	330	400	500
შეუზღუდავად	-10 %; +12 %		-10 %; +10 %		
60 წუთი	-15 %; -10 %		-15 %; -10 %		
20 წუთი	+12 %; +15 %		+10 %; +15 %		

ბ) მომხმარებლები

ნომინალური ძაბვა (კვ)	110	220	ნომინალური ძაბვა (კვ)	330	400	500
შეუზღუდავად	-10 %; +12 %		შეუზღუდავად	-10 %; +10 %		
30 წუთი	-15 %; -10 %		20 წუთი	-15 %; -10 %		
20 წუთი	+12 %; +15 %		20 წუთი	+10 %; +15 %		

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პარამეტრების შენარჩუნება სავალდებულო არ არის ავარიული რეჟიმის შემთხვევაში.“

3. 22- ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსარგებლე ვალდებულია გადამცემ ქსელზე მიერთებული მის მფლობელობაში არსებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარები აღჭურვოს შესაბამისი რელეური დაცვისა და ავტომატიკის საშუალებებით, იანგარიშოს შესაბამისი მოკლე შერთვის დენები და დაცვის დანაყენები.“

4. 24-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 24¹ მუხლი:

„მუხლი 24¹. მოთხოვნები მომხმარებლების სიმძლავრის ცვლილებისადმი

1. ნებისმიერი 60 წამის შუალედში მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრის მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა არ უნდა იყოს 20 მგვტ-ზე მეტი.

2. როგორც ახალი მოხმარების ობიექტის დამატებისას, ასევე არსებული მოხმარების ობიექტის სიმძლავრის გაზრდისას, რომელიც გამოიწვევს მომხმარებლის ჯამური სიმძლავრის გაზრდას 20 მგვტ-ზე მეტად, განმცხადებელი ვალდებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის მოხმარების გრაფიკი ერთი მუშა ციკლის განმავლობაში არანაკლებ 0.1 წამი დროის სიზუსტით.“

5. 35-ე მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადამცემი ქსელის დაგეგმვისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ელექტროენერჯის სტანდარტული პარამეტრების შენარჩუნება ამ წესების მე-40¹ და მე-40² მუხლების შესაბამისად, ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვისა და ელექტროენერჯის წარმოების მოსალოდნელი სიდიდეების პირობებში.“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემდეგ, ელექტროენერგეტიკულმა სისტემამ უნდა შეინარჩუნოს სტაბილური მდგომარეობა ავარიის შემდგომი რეჟიმის პარამეტრების დასაშვები ზღვრების ფარგლებში ამ წესების მე-40¹ და მე-40² მუხლების შესაბამისად.“

6. 37-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ელექტროენერგეტიკული სისტემა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ ძაბვა დარჩეს ამ წესების მე-40² მუხლში მოცემულ ზღვრებში.“

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ელექტროენერგეტიკული სისტემა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ სიხშირე დარჩეს ამ წესების მე-40¹ მუხლში მოცემულ ზღვრებში.“

7. მე-40 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-40¹ და მე-40² მუხლები:

„მუხლი 40¹. სიხშირის ხარისხის მიზნობრივი პარამეტრები

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ისეთი რეჟიმით მუშაობა, რომ შენარჩუნებული იყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის პარამეტრები, ამ მუხლით განსაზღვრულ დასაშვებ ფარგლებში.

2. გადამცემ ქსელში ნომინალური სიხშირე უნდა იყოს 50 ჰერცი. ამასთან, ქვემოთ მოყვანილ გაუთვალისწინებელ შემთხვევაშიც 53.0 ჰერცზე მაღალი სიხშირე დაუშვებელია. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეინარჩუნოს სიხშირე შემდეგ ფარგლებში:

ა) ნორმალურ რეჟიმში მუშაობის პირობებში:

$f=50\pm 0.5$ ჰერცი – წლის არანაკლებ 97%-ის განმავლობაში;

ბ) ავარიულ რეჟიმში მუშაობის პირობებში:

$47 \div 53$ ჰერცი;

გ) სიხშირის ნომინალური მაჩვენებლიდან მაქსიმალური დამყარებული სიხშირის გადახრა არ უნდა აღემატებოდეს ± 0.8 ჰერცს;

დ) მაქსიმალური მყისიერი გადახრა არ უნდა აღემატებოდეს ± 1.5 ჰერცს.

მუხლი 40². ძაბვის ხარისხის მიზნობრივი პარამეტრები

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ისეთი რეჟიმით მუშაობა, რომ შენარჩუნებული იქნას ძაბვის სიდიდეები ამ პუნქტით განსაზღვრულ დასაშვებ ფარგლებში.

ნომინალური ძაბვა (კვ)	110	220	330	400	500
შეუზღუდავად	-10 %; +12 %		-10 %; +10 %		

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ავარიული რეჟიმის შემთხვევებზე.“

8. 49-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 49¹ მუხლი:

„მუხლი 49¹. რელეური დაცვა და ავტომატიკა ოპერატიული მართვის დროს

ოპერატიული მართვის დროს რელეურ დაცვასა და ავტომატიკასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესების 22-ე მუხლის შესაბამისად.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების

ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

ირინა მილორავა

გიორგი ფანგანი

მაია მელიქიძე

გოჩა შონია

დავით ნარმანია

განმარტებითი ბარათი

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მიერ 2018 წლის 12 იანვარს მიღებული შემდეგი რეგულაციები:

- გენერაციის ობიექტების ქსელზე მიერთების მოთხოვნების შესახებ ქსელის წესები (რეგულაცია 2016/631);
- მუდმივი დენის ჩანართის ქსელზე მიერთების მოთხოვნების შესახებ ქსელის წესები (რეგულაცია 2016/1447);
- მომხმარებლის მიერთების შესახებ ქსელის წესები (რეგულაცია 2016/1388).

ზემოთ ჩამოთვლილ რეგულაციებში ასახულ იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შეთავაზებული პარამეტრები, რამაც გამოიწვია ეროვნული „ქსელის წესების“ მათდამი შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა. პროექტის წარმოდგენილი სახით მიღების შედეგად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესები“ (შემდგომ - „ქსელის წესები“) შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ზემოაღნიშნული რეგულაციების ზოგიერთ მოთხოვნასთან.

გარდა ამისა, პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღეს მოქმედი „ქსელის წესების“ მე-11¹ მუხლი (ტექნიკური პირობა) არ ითვალისწინებს განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) ობიექტის მინაერთ(ებ)ისათვის რელეური დაცვის მოწყობის და რელეური დაცვის დანაყენების ანგარიშის პირობებს. ასევე, „ქსელის წესებით“ არ არის გათვალისწინებული ვინ არის ვალდებული იანგარიშოს მოკლე შერთვის დენები და დაცვის დანაყენები, რაც სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს.

პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

ამჟამად „ქსელის წესები“ არ ითვალისწინებს განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიერ მისაერთებელი ობიექტის მინაერთ(ებ)ისათვის რელეური დაცვის მოწყობის და რელეური დაცვის დანაყენების ანგარიშის პირობებს. აღნიშნული შინაარსის ჩანაწერი, კერძოდ, რა მოწყობილობებითა და რა პრინციპების დაცვით უნდა აღიჭურვოს ელექტროდანადგარები, გათვალისწინებულია სსე-ს რელეური დაცვისა და ავტომატიკის

სამსახურის მხრიდან გაცემულ ყოველ ტექნიკურ პირობაში. იქიდან გამომდინარე, რომ ეს საკითხი არ არის გათვალისწინებული მოქმედი „ქსელის წესებით“, მიზანშეწონილია მისი სამართლებრივი რეგულირება და მე-11¹ მუხლის პირველ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა მე-14 (სიხშირის ზღვრები) და მე-15 (მაბვის ზღვრები) მუხლებში, რის შედეგადაც „ქსელის წესებში“ აისახება 2016/631 და 2016/1388 რეგულაციებით დადგენილი პარამეტრები (გენერაციის მოწყობილობებისა და მომხმარებლებისათვის განახლებული სიხშირისა და მაბვის ზღვრები).

„ქსელის წესების“ 22-ე მუხლის (ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რელეური დაცვა და ავტომატიკა) 1-ლი პუნქტის თანახმად, „მოსარგებლე ვალდებულია, გადამცემ ქსელზე მიერთებული მის მფლობელობაში არსებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარები აღჭურვოს შესაბამისი რელეური დაცვისა და ავტომატიკის საშუალებებით.“ პრაქტიკაში პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ არ არის სამართლებრივად რეგულირებული ვინ უნდა იანგარიშოს რელეური დაცვის დანაყენები ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარეობს ობიექტის რეაბილიტაცია ან რეტროფიტი, რაზეც არ გაიცემა ახალი ტექნიკური პირობა. ამ საკითხის რეგულირების მიზნით, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტით შესაბამისი მოკლე შერთვის დენებისა და დაცვის დანაყენების გაანგარიშების მოსარგებლის ვალდებულებად განსაზღვრას.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით „ქსელის წესებს“ ემატება მუხლი 24¹ (მოთხოვნები მომხმარებლების სიმძლავრის ცვლილებისადმი) იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს ცვალებადი მოხმარების მქონე ობიექტების მოხმარება საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობისთვის მისაღებ დონეზე, რათა ცვალებადი მოხმარების ობიექტებმა არ მოახდინონ უარყოფითი გავლენა სისტემაზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „ქსელის წესებით“ განისაზღვროს სიმძლავრის ცვლილების ის დასაშვები ფარგლები, რომლის დაცვის შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული სისტემა შეინარჩუნებს მდგრად და სტაბილურ მუშაობას. ასეთ შემთხვევაში არ იარსებებს ყოველ ჯერზე კერძო შემთხვევების განხილვის საჭიროება. გარდა ამისა, ამგვარი ჩანაწერი ასევე თანხვედრაშია ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო გამოცდილებასთან.

რაც შეეხება „ქსელის წესებში“ 40¹ (სიხშირის ხარისხის მიზნობრივი პარამეტრები) და 40² (მაბვის ხარისხის მიზნობრივი პარამეტრები) მუხლების დამატებას, აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მიზანშეწონილია, სიხშირისა და მაბვის მიზნობრივი პარამეტრები, რომელთა შენარჩუნება ევალება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, აისახოს ოპერატიული მართვის წესში. დღეს მოქმედი „ქსელის წესების“ მე-14 და მე-15 მუხლები მოიცავს როგორც სიხშირისა და მაბვის ზღვრებს, ასევე ადგენს დისპეტჩერიზაციის

ლიცენზიატის ვალდებულებასაც. წარმოდგენილი ცვლილების პროექტით გადამცემ ქსელთან მიერთების წესი, კერძოდ, მე-14 და მე-15 მუხლები არეგულირებს სიხშირისა და ძაბვის ზღვრებს, ხოლო ოპერატიული მართვის წესი, კერძოდ, მე-40¹ და მე-40² მუხლები მოიცავს სიხშირის და ძაბვის მიზნობრივ პარამეტრებს, რომელთა შენარჩუნება ევალება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

35-ე და 37-ე მუხლებში ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნული მუხლების შესაბამისი პუნქტები შეიცავს მითითებას „ქსელის წესების“ მე-14 და მე-15 მუხლებზე. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს მოქმედი მე-14 და მე-15 მუხლებით რეგულირებული ცალკეული საკითხები (სიხშირის და ძაბვის მიზნობრივი პარამეტრები, რომელთა შენარჩუნება ევალება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს), წარმოდგენილი პროექტით მე-40¹ და მე-40² მუხლების რეგულირების სფეროში ექცევა, აუცილებელია მითითება გაკეთდეს მე-40¹ და მე-40² მუხლებზე ნაცვლად მე-14 და მე-15 მუხლებისა.

პროექტის მიღების საფინანსო-ეკონომიკური დასაბუთება

პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის ავტორი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა.“

პროექტის წარმდგენი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა.“